

ქ.თბილისი

2021 წლის 15 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 15 აპრილს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ბ. ზიბზიბაძის მატჩის ოქმი და მოხსენებითი ბარათი, მატჩის მთავარი მსაჯის ლ. ბიბიჩაძის წითელი ბარათის ოქმი, ამა წლის 10 აპრილს, I ლიგის მატჩზე, ოზურგეთის „არწივები“-სა და თელავის „ჭადარი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. ოზურგეთის „არწივები“-ს მორაგბე ლაშა ხმელიძე - მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.2 პუნქტით და მიიღო შემდეგი

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. ოზურგეთის „არწივები“-ს მორაგბე ლაშა ხმელიძე დისკვალიფიცირებული იქნას 10(ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 15 მაისამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ოზურგეთის „არწივები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/